სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ოზურგეთი **6 აპრილი, 2023 წელი**

ერთის მხრივ აი(ი)პ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი (ს/კ 237079102, სახაზინო კოდი: 56 050207, მის: ქ.ოზურგეთი, რუსთაველის ქ.№6) მისი დირექტორის ავთანდილ თავართქილაძის სახით **(შემდგომში შემსყიდველი)** და მეორეს მხრივ ი/მ ბიძინა მჟავანაძე (ს/კ 33001006666, მის: ოზურგეთი სოფ. ჭანიეთი) **(შემდგომში მიმწოდებელი),** ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით**,** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-პუნქტის „**ს¹**“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის წესით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე;

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1“ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ”(შემდგომ-„ხელშეკრულება”)- შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2“ხელშეკრულების ღირებულება”-საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3“შემსყიდველი ორგანიზაცია”(შემდგომ“შემსყიდველი”)-ორგანიზაცია(დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4“მიმწოდებელი”- ორგანიზაცია, (შემდგომ "მიმწოდებელი") – ორგანიზაცია, პირი რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5“დღე”,“კვირა”,“თვე”-კალენდარული დღე,კვირა,თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა (CPV30100000)საქონელის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის წესით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.2 შესყიდვის საგანია:
2.2.1. ცენტრის საჭიროებისათვის 4 ცალი **(285A)** მეორადი ტონერიანი კარტრიჯის დატუმბვა (CPV 30125100) შეძენა საცალო ღირებულებით 25 (ოცდახუთი) ლარი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) გადაიხადოს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და წესით;

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნული ვალუტით გაწეული მომსახურების შესაბამისად.
4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 100 (ასი) ლარი:
4.3ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით.
4.4. შესყიდვის ღირებულების გადახდა ხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე შემსრულელის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.
4.5. შესყიდვის დასრულება გაფორმდება უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. შესყიდვის საგნის გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის საგნის ხარისხი უპასუხებს სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
5.2 შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის საგნის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6. შესყიდვის საგნის მიწოდების ვადები:

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველს მიაწოდოს შესყიდვის საგანი არაუგვიანეს 2023 წლის 12 აპრილამდე;

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 22 აპრილამდე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესები

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1. მხარეები ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომი და საომარი მდგომარეობა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი ვადით, გარემოებათა დასრულების შემდგომ.
10.3. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი შესრულებული იქნება წერილობით და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
10.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, წერილობით, ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.
10.5. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
მ.ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედ. სახვ.ხელოვნების ცენტრი	ი/მ ბიძინა მჟავანაძე
ქ.ოზურგეთი, რუსთაველის ქ.# 6	ოზურგეთი სოფ. ჭანიეთი
საქართველოს ცენტ.ხაზინა, TRESGE22	სს „საქართველოს ბანკი“, BAGAGE22
სახაზინო ორგანიზაციული კოდი: 56 050207	ა/ნ GE98BG0000000279328200
ს/კ 237079102	ს/კ 33001006666

_____ /ა. თავართქილაძე / _____ /ბ. მჟავანაძე/

Avtandil Tavartkiladze 33001007706
Digitally signed by Avtandil Tavartkiladze
Date: 2023.04.06 14:21:48

Bidzina Mzhavanadze 33001006666
Digitally signed by Bidzina Mzhavanadze
Date: 2023.04.06 14:55:45